


პირველი ხარი

კოლექტივში შევიდე
გულით ძლიერ მწადია.
მაგრამ ვერ მოვახერხე—
უკვე წელიწადია!

მეორე ხარი

მეც ასე ვარ, პატრონმა
გულზე ჯავრი ამკიდა.
კოლექტივში შესვლამდე
აილო და გამყიდა!

1930
162 12
Академия

## შოლტიანის ბრძანება

მიდის ზამთრის სუსხი
გაზაფხული მოდის.
ძლივს ელება ბოლო
ამდენი ხნის ლოდინს.
ფუსფუსია სოფლად,
ყველა გუთანს მართავს,
ზოგი სახნისს ლესავს,
ზოგი ფარცხსა ხლართავს.
ზოგი თესლს ამზადებს
და უმარჯვებს ტრიერს.
ზოგიც ტრაქტორს ზეთავს—
სოფლის დევ-გმირს ძლიერს.
ფუსფუსია ყველგან
ნათლად ვხედავთ თვალით.
გლეხი ომს ამზადებს
კოლექტიურ ძალით.
და მეც მოუწოდებ
შოლტკორების რაზმებს.
ამ დროს გარჯა-შრომა
ჩვენ არავის გვაზნევს.
აბა ფრთხილად, ყველას
ეს ბრძანება ესმას.
არვინ არ ჩამორჩეს
მოხვნასა და თესვას.
ხამკვდრო - სასიცოცხლო
ბრძოლა უნდა მოხდეს.
არსად დაგვრჩეს მიწა
თესლი რომ არ მოხვდეს.
არც ერთი გუთანი
და არც ხარი უქმად,
თუ გვინდა რომ ბოლოს
ყველას გვქონდეს ლუკმა!
თუ გვინდა რომ მართლა
შვება ვიგრძნოთ გულში.
ყველამ მივაშუროთ
ჰინდორში და ხნულში!
ვინც დღემდე ხვრინავდა—
ძილი უნდა ეყოს.
მუჯლუგუნი: საბჭოს,
კოლექტივს და ეპოს.
მუჯლუგუნი გლეხებს
ვინც ზოზინობს - ზანტობს.
შოლტის ძალით—ძილი
უნდა გაიფანტოს!
და თუ სადმე კულაკს
კიდევ შერჩა გესლი.
შეუტიეთ ერთხმად,
მოსპეთ მისი თესლი.
შეუტიეთ ყველას
ვინც აბრკოლებს საქმეს.
მოსცხეთ საცა შეგხვდეთ,
ნუ დააკლებთ სახრეს...
ხედავთ აჩქარებით
გაზაფხული მოდის.
ზურგი შეაქციეთ

## სკოლა დაამთავრა



— ამხანაგო, ერთი ეს ქაღალდი წამიკითხე, რა სწერია შიგა!
— აქ ის სწერია, რომ შენ წერა-კითხვის სკოლა გაგითავებია!

სხვის ცქერას და ლოდინს,
ტრაქტორი თუ არ გაქვთ
ნუ ივიწყებთ ხარებს.
შოლტი—იმათ ძალას
ვინც არ მოიხმარებს!
გზა გლეხობის უნარს,
და უქნარებს წყრომა!

შოლტკორებო, ყველგან
დატრიალდეს შრომა!
მუჯლუგუნი ყველას
ვინც სცდება და ზანტობს.
შოლტის ძალით ძილი
უნდა გაიფანტოს!

შოლტიანი.

## სოფელ რგვალ-ჭალაში

### თედო ყარაშვილს

მიიღე სალამი პირზე კოცნით და ხელის ჩამორთმევით.

კაცო, სადა ხარ, როგორ ხარ. ეს 15 წელია შენი აღარაფერი გამიგია. როგორც იყო ძლივს მოვაგენ შენს კვალს და აი ამ ბარათს გწერს.

ჰაი გიდი აბასთუმან, რა დრო დაგვიდგა! გახსოვს—მე და შენ რომ სტრაჟნიკებად ვმსახურობდით მაზრის უფროსთან და ამ ათასნაირ ცოციალისტებს ზურგზე ტყავს ვაძრობდით!... ეგ კი არა, მითხრეს შენ ბოლშევიკების პარტიაში ჩაწერილხარ ერთ დროს კიდევ კარგ დროზე გამოუგდიხარ იქიდან, თორემ ბოლოს ხომ შეგიტყობდენ ძველ ამბებს და რაღა გეშველებოდა!

კოლექტივში რომ მოგიხერხებია შეპარვა, ეგ მართლაც კარგი საქმეა, როგორც გავიგე თავმჯდომარე ყოფილხარ და ვინ რას დაგაკლებს, საქმე საითაც გინდა იქით მიატრიალე.

**გამოწვევა**

ტყის ბილეთების საფასურის მაგიერ, ცხინვალის რაიონის ტყის მცველებს ვასო ვახტანგიშვილის და არშაკ ხარებაშვილის ოჯახების სასარგებლოდ შეგვაქვს თითო თუმანი და ამავე მიზნით ვიწვევთ ჩვენი რაიონის სხვა გლეხობასაც.

გლეხები ივანე ბეპიევი, იასონ და პეტრე ფილიევები.

მიცვალებულებზე რომ ბევრს ფიქრობ—ეგაც მოსაწონი საქმეა. შენს სახლიკაცს ლადო ყარაშვილს ქელეხისათვის მართალია 30 თუმანი მიეცი, მაგრამ უკეთესი იქნებოდა კოლექტივში რომ ქელეხი გადაიხადე ეს ფულიც იქ დაგეხარჯა. ერთი თხა და ხუთი თუნგი არაყი აბა რას გეყოფოდათ!

სოფელ რენეში „ღვთისმშობლობას“ ხამლვთო დაგიკლავს, არც ეგ არის ცუდი საქმე, მაგრამ ის კი არ მომწონს, რომ კოლექტივში თურმე ალარავის ილებ. შე კაი კაცო, ერთი სამიოდე ნასტრაჟნიკალი ვართ ჩვენს სოფელში და შენი იმედი გვქონდა. კოლექტივში მილებაზე ძველ ამხანაგებს მაინც ნუ გვეტყვი უარს!

შენი ძმა ხარო მენდალაძე.

# შეფები შემთხვევით საშეფო სოფელში



— ამ ოხერმა ყინვამ და ქარმა გვერდები წაიღო, საცოდავი მოწაფეები აქ როგორ სძლებენ მთელ დღეს.
— მოვკდი კაცი, გავითოშე ერთიანად... ვაიმე ცოლო და შვილო!
— (გლეხები გარედან) თუ ბიჭები ხართ, ნურც ახლა მოგვაქცევთ ყურადღებას!

# ტელეფონის ბრალია

საბჭოს თავმჯდომარე კაბინეთში ზის და თავის მეგობარ მდივანს დღევანდელ სადილზე ესაუბრება.

— სამი ინდაური, ერთი ცხვარი, 15 ჩაფი ღვინო, ხუმრობა საქმე არ არის. ნახე როგორ დროს გავატარებთ... თურმე ოცამდე კაცი ჰყოლია მიპატიჟებული!—უთხრა თავის მდივანს პირზე ნერწყვმოსულმა. კოხტად აბზეკილ ულვაშებზე გადაისვა ხელი..

— ქეიფი კარგია, მაგრამ ეს თესვის საქმე, რომ სრულებით ისე მივატოვეთ, ბოლოს ცხვირში არ მოგვხვდეს!

— შენც საქმე გამოგლევია! ამ შუა ზამთარში რა დროს თესვაზე ფიქრია... შენ ნურაფრის გეშინია, თავმჯდომარე ატვეჩაეტ!

თავმჯდომარის უკანასკნელი სიტყვა ენიდან ჯერ არც კი გადმომხტარიყო, რომ ტელეფონმა გაიწკრიალა...—

— ვინ ოხერია ნეტავ, რომ ჩვენს ლაპარაკში ჩაეჩხირა!—გისმენთ, თელიანის სოფლის საბჭოა... დიახ... დიახ... მესმის! ძალიან კარგი!. როგორ? რას ამბობთ? როდის! დღეს საღამოს? არ შეიძლება ხვალისთვის ან ზეგისთვის გადაიდოს? უსათუოდ დღეს?—თავმჯდომარეს ფერი გამოელია, ენა დაება და ელდანაკრავმა ტელეფონის ლულა ცივად გაუშვა ხელიდან...

— რაი იყო კაცო, რა დაგემართა!—შეწუხებული მდივანი მივარდა.

— რაღა რა დამემართა... ვიღუპებით... ვიღუპებით!.. დღეს მუშათა ბრიგადა მოდის ჩვენი მუშაობის შესამოწმებლად...

მდივანსაც ეტყობა უცბად შეეცვალა გუნება და მოხარშული თვალებით სარივით გაშტერდა ზეზე...

— რა გვეშველება! ფული რომ შემოგვეჭამა ისიც გამოირკვევა!. ადრე მაინც გაგვეგო... როგორმე უშველიდით საქმეს...

— ვითომ ბრიგადის შესახებ არაფერი ვიცით... ჩქარა, ეხლავე მოვიწვიოთ პრეზიდიუმის სხდომა... მას გულახდილათ განუცხადოთ ყველაფერი, ბოლოს სასჯელი მაინც შეგვიმსუბუქდება!—სულელური იყო მათი გადაწყვეტილება, მაგრამ მათ ისე დაებნათ დავთარი, რომ ძის განხილვაში აღარ შევიდნენ და საათნახევარის შემდეგ მოწვეულ სხდომას გულწრფელად განუცხადეს თავის „შეცდომანი“..




— ფულს გადავაყოლეთ, გვაპატიეთ... ანგარიშში მოვტყუვდით..: ხვალ მთელ თანხას დავფარავთ..: საიდანმე ვიშოვით!..

პრეზიდიუმის ერთმა წევრმა უარი განაცხადა საქმის შინაურულად მოგვარებაზე. შესდგა სათანადო ოქმი და გადასწყდა საბჭოს გაფართოებული სხდომის მოწვევა... ძმა-კაცი თავმჯდომარე და მდივანი თავის ხელით გაიბნენ მახეში...

ამავე დღეს საათნახევრის წინ მეზობელ სოფლის—საირმეს საბჭოში ქაზარმიდან ახლად დაბრუნებული 2 წითელარმიელი საუბრობდეს:

— არა, აღარ მეპახსოვრება ტელეფონით ლაპარაკი... ეს ტელეფონი სულ სხვანაირია...

— აი თუ არ მემახსოვრება!—წითელარმიელმა ტელეფონის მილი ჩამოიღო ხელად და ყურთან მოიმარჯვა.

—საიდან არის? სოფელ თელიანის საბჭოა? დღის თქვენს სოფელში მოემგზავრება მუშათა ბრიგადა... თქვენი მუშაობის შესამოწმებლად!..

— ბიჭო, შე ოხერო რაზე ატყუებ... აბა სად არის ბრიგადა...

— არა უშავს რა, დღეს არა ხვალ, ზეგ ხომ ჩავა!..—გაიცინა მოსაუბრე არმიელმა და ტელეფონის მილი არხეინად ჩამოჰკიდა ადგილზე!

რა იცოდა მან რომ მისი ხუმრობა ასე ძვირად დაუჯდებოდა თელიანელ „მოღვაწეებს?“. იშკილ.




# საშინელი შურისძიება

ხანჯლებით შეიარაღებულ რამდენიმე მუცელგასიებულ კაცს გომურში მოტყუებით შეუმწყვდევია ცოცხალი არსება, რომელიც სიკვდილის მოლოდინში, ცრემლიანი თვალებით კანკალით შეჰყურებს მათ, თითქოს შებრალებას ითხოულობს..

— რაღას უცქერით! ხომ იცით ეჲ მოღალატე კოლექტივში სამუშაოდ ემზადება! ჩაეცი ხანჯალი და გაათავე!

ბობოლები შურისძიების დორბლსისვრიან პირიდან და თავის მსხვერპლის მოლოდინში კბილებს ილესენ. საცოდავ მსხვერპლს კი ენა ჩავარდნია.. ხედავს, გრძნობს, რომ საცაა ორპირად ვალესილი ფოლადი მკერდში გაუვლის ცივი ხრიალით. თითქოს უნდა რაღაც სთქვას, შეეხვეწოს, მაგრამ... ენა დაბმულია...

აგერ თითქოს ხმის ამოღებაც დააპირა.. საცოდავად შებღავლა... მაგრამ...

— უყურეთ! ხმის ამოღებასაც კი ბედავს!.. რაღას უცქერით ხანჯალი მაგას!

გაისმა შეთქმულთა ბელადის ბრძანება და რამდენიმე გაშიშვლებულმა ხანჯალმა ერთად გაიელვა..

ხრრრ... სისხლის თბილი შადრევანი ავარდა მაღლა... ყრუ კვნესა მალე შესწყვიტა მეორე ხანჯალმა...

:მხ. მკითხველო, ნუ აღელდები! მოხდა ჩვეულებრივი ამბავი. კულაკმა ერთგული დამქაშების დახმარებით თავის ხარს გამოსჭრა ყელი.

ჭინკა.

# სოფ. მოხესის საბჭოს წევრს

## ილია გიორგისძე ამბაკოძეს

ვინ იცის გაგიკვირდეს ამ სტრიქონებს რომ წაიკითხავ. იქნებ არც კი იცი, რომ მე და შენ ახლო ნათესავები ვართ ცხონებულ მამაჩემსაც ილია ერქვა, ჩემი ნათლია ამბაკო მიკიტანი კი ქვეყანაზე შენსავით განთქმული და სახელიანი კაცი იყო. გარდა ამისა, ჩვენი წინაპარი ნოეც გეხსოვნება:—ის ხომ პირველი აგრონომი იყო, რომელმაც ქვეყნად ვაზი მოიყვანა. მე და შენ რომ ღვინის ყლაპვა გვიყვარს—ეს იმიტომ, რომ ორივე მისი შთამომავლები ვართ.

რაკი ჩვენს ნათესაობაში დარწმუნდი. იმედია, რაც უნდა მოგწერო აღარ გეწყინება.

ძალიან მოგიხერხებია, რომ სოფლის საბჭოს წევრად გასულხარ. თუმცა ცარიელი საბჭოს წევრობა არაფერია შენ თვითონ იცი ეს და ამიტომ სათონდო მიწების შემოსავალიც ჩაგიგდია ხელში

„მადა ჭამაში მოდისო" ნათქვამია. შენც ამიტომ არაფერი გეთქმის, თუ სათონდო მამულების შემოსავალს სოფლის ხიდის შესაკეთებლად გადადებული ორასიოდე მანეთიც ზედ მიაყოლე.

სოფელში შენ სახელი გაქვს, როგორც სახელმწიფოს მრეწველობაზე მზრუნველ კაცს, ამიტომ ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციებიდან შემოსული თანხაც შენ ჩაგაბარეს... მერე რა ვუყოთ—თუ ეს ფული შენს ოჯახს მოახმარე! ეს თანხა, ხომ ისევ ჩვენს სახელმწიფოში დატრიალდა და არა რომელიმე კაპიტალისტურ სახელმწიფოში! ამაში შენ ვერავინ გაგამტყუნებს!

სოფლად მოღვაწეობის დროს თუ კულაკებს მფარველობდი, აქაც ჭკვიანური მოსაზრება გქონდა. შენ გინდოდა კულაკები კიდევ უფრო გამდიდრებულიყვნენ, რომ ბოლოს, მათთვის ცხოვრება ჩამოგერთმია და კოლექტივისათვის გადაგეცა, რომლის დაარსების წინააღმდეგი ხარ ჯერ-ჯერობით.

მართლა, რაზე დამავიწყდებოდა, მგონი მოჯამაგირე გყოლია, რომელსაც რამდენიმე წელია თურმე უწყალოდ ამუშავებ და გროშსაც არ აძლევ. ამაზე თუ ვინმე გამოგედავოს—ასე უთხარ: ჩემი შვილობილიათქო.

ჩემს ამბავს თუ იკითხავ, კარგა ვგრძნობ თავს, ვმუშაობ ქალაქში „შოლტების" დამზადებაზე. ახლა ათიოდე ცალს ვგზავნი თქვენს სოფელში. იმედია ორიოდეს მაინც შენ მოგთავაზებენ.

შენი შოლტიანი.


ულრმესი მადლობა

ოზურგეთის მაზრის ძიმითის თემსაბჭოს, რომელმაც შავი სიიდან ამოგვშალა და საარჩევნო ხმის უფლება შინაურულად აღგვიდგინა.

ვაჭრები დოშენტი, სამსონია და უ. ჩხარტიშვილი.


# კულაკის გოდება

ვაი, ეს რა დღე დამადგა —
ტვინი მთლად ამერია;
მოვრბი, უკან მომძახიან:
— შენ ხარ ჩვენი მტერია!..
ოი, ამ ღარიბთა ჯავრი
ნუთუ ვირსად ვიყარო?!
იმათ მომისპეს ცხოვრების
დაუშრეტელი წყარო!..
ჩამომართვეს ქონება და
ამომკრის პანღურია;
იმათი შურის-ძიება—
აი რათა მწყურია!...
ეხლა სადღა წავიდეთ? —
აღარ ვიცი, არაო...
ყველა მირტყავს. ვინც წინათ
ჩემთვის ოფლი ღვარაო!...
უწინ თალხს სხვას ვაცმევდი—
ეხლა თვით ჩავიცვიო,
კოლექტივის მომგონო
დაივსე, დაიწვიო!..

აუ!

# „ყველაფერი რიგზეა"

ცენტრიდან ჩამოსული ამხანაგი ეკითხება სოფლის საბჭოს წევრს:

— როგორ მიმდინარეობს თქვენს სოფელში თვითკრიტიკა? ხელისუფლების წარმომადგენლები ბოროტად ხომ არ იყენებენ თანამდებობას?

— რა მოგახსენოთ,—უპასუხებს საბჭოს წევრი,—თვითკრიტიკა კი სწარმოებს, მაგრამ, სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, გასაკრიტიკებელი სოფლის მესვეურებში არავინა გვყავს,—უყურადღებობის ერთი შემთხვევა კი გვქონდა: მილიციელმა ამ დღეებში ცალი ჩექმა დაკარგა საბჭოს თავმჯდომარის ძებნაში.

— კი არ დავკარგეთ, ქლეხზე წესრიგის დარღვევისათვის დაჯარიმებულ ამხანაგებიდან შეგროვილი თანხა გაიტაცა და სადღაც მიიმალა.

— არაფერი არ მესმის—რომელ ქლეხზე ლაპარაკობთ?

— როგორ, განა არ იცით, რომ ამ დღეებში გლეხკორი მოგვიკლეს? ჩვენი სოფლის კულაკი ლომე ფარულად არაყსა ხდიდა სარდაფში, ეს ამბავი გლეხკორმა გაზეთში მოათავსა და აბა, ხომ იცით რაც მოჰყვებოდა ამას—მეორე დღეს საცოდავ გლეხკორის გვამი ხიდთან იპოვნეს.

— მერე, მკვლელი არ დააპატიმრეს?

— ვის უნდა დაეპატიმრებინა?—ჯერ ერთი ხსენებული კულაკი ღვიძლი ძმა არის მილიციის უფროსის და მეორე კიდევ ის რომ, მკვლელი რომ დაეპატიმრებინათ, გამოაშკარავებდა მილიციის უფროსის მთელ ეშმაკობას, რომელიც მან ჩაიდინა კოოპერატივის გამგეთ ყოფნის დროს!

— რა ჩაიდინა ისეთი?

— რა და—ათას მანეთამდე ფული გაფლანგა, წიგნებში ანგარიშები აობნია, სარევიზიო კომისიის წევრები შეისყიდა—უხვათ გაუმასპინძლდა და ამრიგათ იძვრინა თავი.

ეს კიდევ არაფერი, მან კოოპერატივში მოსული მთელი საქონელი—ფართალი, შაქარი და სხვა კერძო ვაჭრებს გადასცა ფარულად, ნაწილი კი დამალა თავის სახლში, რომელიც შემდეგ იქნა აღმოჩენილი.

ისე კი, თვითკრიტიკას როგორ არ ვაწარმოებთ, კამპანია უკვე ჩატარებულია, მხოლოდ როგორც მოგახსენეთ, გასაკრიტიკებელი არავინა გვყავს.

აბუთა.

# „მოღვაწე" ხმალ-ხანჯალ-მათრახით

შეხედეთ, შეხედეთ,
ეს ძველი სიფათი.
რამდენ გლეხს აჰკიდა
ტანჯვა და ხიფათი.
შეხედეთ ამ მენდლებს
ჯვრებსა და პაგონებს.
ძველ ჯალათს მოსისხლეს
სუყველას აგონებს.
იცნობდეთ საკაშვილს
ძველ „სტრაჟნიკს" — წოდებით.
რამდენჯერ დამტკბარა
მშრომელთა გოდებით.
დღეს ისევ მოექცა
სოფელში სათავეს,
საყავრელ გლეხობის
პირნახულს ათავებს.
ზოგს მიწა წაართვა
და ზოგს სხვა ქონება.
უნდა რომ გლეხობა
კვლავ ჰყავდეს მონებად.
სასახლე დაიდგა
ყვლეფით და მოგებით
აივსო საქონლის
ნახირით, ჯოგებით.
გლეხობა ჩააგდო
შიშში და ძრწოლაში
და ბოლოს „მოღვაწე"



დასკუპდა სკოლაშიც.
„ანათლებს" გლეხობას
ნაცადი ჩაფარი
პირზე ნიღაბით და
„მოღვაწის" საფარით.
თან ხალხში კოლექტივს
ლანძღავს და „აკურთხებს"...
ვინც ამ გზას გაყვება,
აგინებს, აფურთხებს.
უსწავლელ გლეხობას
აშინებს ძალათი.
ნადირი—სტრაჟნიკი
მოსისხლე ჯალათი.
გორის ოლქალმასკომს
შეეძლოს იქნება —
საყავრელ „დევ-გმირის"
გზა-კვალის მიგნება...
რომ კულაკს ნაჩაფრალს,
მოღვაწეს უპიროს —
სოფლიდან შაგარი
პანღური უჭიროს!..

პილპილი.


კარტის და ნარდის

სათამაშო მოვაწყე ძველი აბაშაში, სადაც ამავე დროს ვასწავლი ფრანგულ ჰიდაობას და ქართულ კრივს.

აქვე იაფად, პირიანად ვყიდი ხანთლის არაყს და მოპარულ ქათმების საცივს.

პატივისცემით ყირიმ ქოიავა.





# ნოქრის ჩივილი




— თუ კი კომუნაში მომიხდებოდა შესვლა, რა ოხრათ მინდოდა მთელი კოოპერატივის ქონება, რომ სახლში გადმოვზიდე?!

## „მურმან-მურმანის“ ჰანჭზე

თეკლათელო თავმჯდომარე
შენი საქმე რა რიგია.
კლასობრივი ბრძოლა სოფლად
შენებურად გაგიგია.
შენ სიმინდი ღარიბთათვის
მისაცემად წაგილია.
მაგრამ ზოგი მევახშისთვის
„ძმა-ბიჭურად“ გაგიყვია...
ბაკურაძე ფულს ასესხებს,
თუმანს აძლევს ორ მანეთად.
შენ კი თურმე სიაში გყავს
ღარიბეს ხალხთან ერთად...
ღარიბს აკლებ, მდიდარს აძლევ,
პირი „ბრძნულად“ დაგილია —
რასა „ფიქრობ თავმჯდომარე,
შენი საქმე რა რიგია?!..

მელია.

**ჩემი ნათესავ-მეგობრების საყურადღებოდ!**

როდესაც შენიშნოთ, რომ უბილეთობის გამო სადგურის სალარო დაკეტილია, მოუარეთ უკანა კარებიდან და ბილეთებს ყველას მოგიხერხებთ.

ქარელის რკინის გზის სადგურის მოლარე **ვანო ჭიკაშვილი.**

## თავისთვის „მზადება“

— უცქირე, ჩვენში ჯერ არცკი დაუსრულებიათ მუშა საქონლისა და მანქანა-იარაღების აღწერა.

— შე ოჯახაშენებულო, რას დაასრულებდენ, რომ ჯერ მას არცკი შესდგომიან!



## აესიას წერილი „შოლტს“

ზაქარა თათარაშვილი
მცხოვრები ზემო გომელი,
ერთი შეხედო გგონია
კაცი გამრჯე და მშრომელი.
გომში სახლი აქვს ქვიტკირის,
ქონებაც გასაძღომელი,
სახნავ-სათესი მამულით
მას შეედაროს რომელი?!
აქვე თბილისის ახლოსაც
მან გაიჩინა ქონება.
სადგურ ნავთლუღთან დასახლდა,
რომ ნახო—მოგეწონება.
მიწა აქვს სახნავ-სარწყავი,
ბაღიც შეკრული კონებად,
რკინის-გზის სახლშიც ბინადრობს,
მისცეს—და ეპატრონება.
ჩვენს ზაქარიას დღე უდგა
მართლა უხვი და სვიანი.
ხეხილის ბაღი ავსილი,
12 ძროხა რძიანი.
მოჯამაგირე ბიჭიც ჰყავს,
თვითონ კაცია ჭკვიანი,—
ზის შეექცევა ცხოვრებას
ლუკმა აქვს ბარაქიანი.
— ერთ დროს რკინის გზას უვლიდი,
ეხლა ვიქეცი წყლულებად,—
წუხილით დამზღვევ სალაროს
ზაქარა ეჩურჩულება.
სიტყვა სჭრის. დამსახურება
ყველგან რიგი და წესია.
თათარაშვილმა გაიკრა
მსუქან-მსუქანი პენსია.
ალალი იყოს თუ შერჩა,—
არ შერჩეს—უკეთესია!
„შოლტო“, შენ იცი „ამოსცხე!
გწერს ნავთლუღელი აესია.

## ნოქარ--ვირთხა

ძმურად თვალი გადავავლოთ
ძველ აბაშის „ეპო“-ს
უთხრათ ნოქარ გრიგოლიას:
დროა—ჭამა ეყოს.
საქონელს რომ როგორც უნდა
ისე ადებს ფასებს,
ეპოს აკლებს ჯიბეს სწყალობს,
და თავის სახლს ავსებს...
რას აკეთებს გამგეობა,
დროა ძილი ეყოს.
თორემ მლე გრიგოლია
შინ წაიღებს „ეპო“-ს...

**სოფ. ხცისის ქოხ-სამკითხველოში**

მოვაწყე სადალაქო - საპარიკმახერო, სადაც იაფად და პირიანად ვპარსავ და ვკრეჭ მსურველებს. აქვე ვასწავლი კინტოურის ცეკვას, დილაობით კი ვყიდი აწლის არაყს.

ქოხ-სამკითხველოს გამგე **სიმონ მსხალაძე.**

## „განმანათლებელი“

ოზურგეთის მაზრაში
განთქმულია აკეთი.
მორთულია ბუნებით,
მთებითა და ვაკეთი.
სკოლის გამგეც კარგი ყავს.
ირაკლია ჩხაიძე,
თუ ღვინო არ მიართვით,
არ გეწვევათ ჩაიზე.
სკოლა, კლასი რას ქვია,
თუ აქვს წვენი სვირული.
ლეკურია ნამდვილი
არყით პირდაპირული.
მას არა სწამს ამ დროის
ყაიდაზე სწავლება.
უყვარს გრუზა მოწაფის
თმაში ხელის წავლება.
უყვარს დედის რძესავით
ბავშვის ცემა-გინება,—
თუ დილითვე ადრიან
გადაყლაპვა ინება.
ხან გაკვეთილს ვერ ასწრებს,
იქვე დაეძინება...
თუმცა გაზეთშიც გასწერეს —
ის თავისას განაგრძობს..
ვაშა, სოფლის „მოღვაწეს“,
ვაშა, „მუშაკს“ აკეთელს!

დუმ—დუმ.

## რადიო სენაკიდან

1 იანვარს უგზო-უკვლოდ დაიკარგა მღვდელი მათე კალანდარაშვილი. ნიშნები: გრძელი თმა და წვერი, შავი ანაფორა, ანაფორის ჯიბეები უზარმაზარი, გაბერილი ღიპი და არყით გასიებული ცხვირი. თუ ვინმემ რაიმე შეიტყოს მის შესახებ—უმორჩილესად ვთხოვთ არაფერი აცნობოს სენაკის საზოგადოებას.

## იქ, სადაც მთლიანი კოლექტივიზაცია არ არის



— გასწი შენიიი... აქაც არ მოიტანო ეგ განკულაკების სენი!

## ახალდაბელი ჭამიაშვილი

ახალდაბის სატყეოში
მსახურობდა წინათ ილო,
ბევრ გლეხს ფული გამოსტყუა
და გადაჰკრა ამით ღვინო.

დელეგატ-ქალთ გაუფლანგა
ამ ყმაწვილმა კიდევ ფარა
და თოთხმეტი თუმანი მან
ჩუმად ჯიბეს მიაფარა.

ყოჩაღ ბიჭო, ბარაქალა,
რომ ქცეულხარ მართლა ჭამად.
გაამოს თუ ხალხის ფული
არ შეგერგო ბოლოს შხამათ!

ახალდაბელი.

## ჩვენი ფოსტა

**წკუპუნიას:** თქვენი ლექსი ასე იწყება და ასე თავდება:

ვილაც ილია რომ არის
მგონი ფანჯავიძეაო,
კვირაში რომ სამ დღეს მოდის—
ბევრი არაფერიაო..

არც თქვენი ლექსი გამოდგა ბევრი რამე, ამიტომ უძირო გოდორში გადაუძახეთ.

**ანაკლიელ ტეტეს** გვწერ ლექსად:

ზოლტო მოდი გაასწორე
ორი ჩვენი ამხანაგი,
თავხედია და ყოყოჩობს
და გახლავს მეტი ბარგი...

შე ოჯახაშენებულო, რაზე წვალობ ან შენ და ან ჩვენ რაზე გვატეხიებ ენას. ბოლო და რიგიანათ მოგვწერე, რომ: თქვენს ქარხანაში მსახურობს ვაჭარი ბიჭიკო დარასელია, ხოლო მოანგარიშეთ ცნობილი ვაჭარი „პილა“. მორჩა და გათავდა. თქვენი თემის აპარატის გამწმენდი კომისიის თავმჯდომარეთ შოთა რუსთაველი ხომ არ არის, რომ ასეთი ამბავი მაინც და მაინც ლექსად დაიწეროს.

**ვაჟეველ კალმოსანს.** იწერებით, რომ თქვენებური მღვდელი სიმთვრალის დროს ჭაში ჩავარდნილა და დამხრჩვალა. გადაეცით დიაკვანს ჩვენი ულრმესი მწუხარება, რომ ისიც თავის წინამძღოლს თან არ გადაყვა.

გულდამწვარი ჭირისუფლები—ნოქარი ი. ჯიბლაძე და მისი ძმაკაცები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ საშინელმა სენმა „პურლვინყლაპამ“ *) მოულოდნელად იმსხვერპლა სოფელ ჭაპანას გლეხკომის

### ს ა ს ა დ ი ლ ო

პანაშვიდები ყოველდღე ხლუპუზას სამიკიტნოში.

*) ძველ ყარაბაღინში ამ სენს „მჭამელი“ ეწოდება.

სოფელ ბაშის გლეხობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას რომ მოულოდნელად მუცელს გადაყვა მათი ძვირფასი თერთმეტ-თერთმეტი მანეთი

### საპაიო და საწევრო გამოსაღები

დაკრძალვა მოხდა წარსულ წელს. იმედია მუხიანის ეპო ანუგეშებს დამწუხარებულ ჭირისუფლებს.

# ბიუროკრატების განუწყვეტელი საწარმოო კვირ




ამხანაგო, დღეს გამგის გასასვლელი დღეა, ვერაფერს გეტყვი! სამწუხაროდ დღეს გამგის მოადგილე არ არის აქ!..




დღეს ბუღალტერი ისვენებს და უიმისოდ არ შეიძლება. მეოთხე დღეს თვითონაც არ დახვდა



ბოლოს | უკვეთა რკინის ცოცხს გააყოლეს